

პრაქტიკული მაგალითი ადგილობრივი ინიციატივის შესახებ სიღნაღის მუნიციპალიტეტში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა „ჰეკს/ეპერს“-ის პროექტის მენეჯერის ალექსანდრე ლოლობერიძის წერილი (ადგილობრივი ინიციატივა), სადაც აღნიშნული იყო, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი ორგანოების გაძლიერებისა და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით 2017 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ერთი მხრივ კახეთის გუბერნიასა და მხრივ „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი ქორფს“ შორის. „ჰეკს/ეპერი“ პროექტის „რეგიონული განვითარება კახეთის რეგიონში“ ფარგლებში იღებდა ვალდებულებას გრანტის სახით სიღნაღის მუნიციპალიტეტში დაეფინანსებინა მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ფართის რემონტი და საოფისე ინვენტარით აღჭურვა, რომლის მოცულობა წინასწარი მონაცემებით შეადგენდა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 2017 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის, გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისა და უკვე შესრულებული სამუშაოს და შესყიდული ინვენტარის სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის ვადა იყო 2018 წლის 30 ნოემბერი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა საკრებულოს, წარუდგინა ადგილობრივი ინიციატივა - განაცხადი, თანდართული მასალები და ითხოვა წინასწარი თანხმობის მიცემა გრანტის აღების თაობაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მისი კომპეტენციის ფარგლებში (მე-100 მუხლის მე-7 პუნქტი) იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და განკარგულებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას მისცა თანხმობა „ჰეკს/ეპერსისგან“ მიეღო გრანტი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით ადგილობრივი ინიციატივის განსახორციელებლად.

საკრებულოს განკარგულებით თანხმობის მიცემის შემდეგ, მერიამ მიმართა საქართველოს მთავრობას და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ითხოვა თანხმობა გრანტის მიღების თაობაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

საქართველოს მთავრობამ განკარგულებით მისცა მუნიციპალიტეტს თანხმობა გრანტის მიღებისა აღნიშნული პროექტის განხორციელების თაობაზე.

აღნიშნული პროცესების დასრულების შემდგომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაიღო საგრანტო ხელშეკრულება მუნიციპალიტეტსა (წარმოდგენილი მერის სახით, როგორც მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის) და „ჰეკს/ეპერს“ შორის, მიღებული გრანტის ფარგლებში ადგილობრივი ინიციატივის - წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შესახებ.

პროექტის დასრულების შემდგომ (ქალთა ოთახის რემონტი, საოფისე ინვენტარი) ორივე მხარეს - მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივი ინიციატივის ავტორს „ჰეკს/ეპერს“ შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება პროექტის წარმატებით დასრულება.

გრანტის სახით მიღებული საოფისე ინვენტარი მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე აყვანილ იქნა მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ადგილობრივი ინიციატივის განხორციელებისთვის საჭირო და არსებული დოკუმენტების ჩამონათვალი სიღნაღის მაგალითზე:

1. „ჰეკს/ეპერს“-ის პროექტის მენეჯერის ალექსანდრე ლოლობერიძის წერილი (ადგილობრივი ინიციატივა);
2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად შედგენილი მერის წერილი საკრებულოს გრანტის მიღებაზე წინასარი თანხმობის მიღების შესახებ;
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება;
4. მერის წერილი და მთავრობის განკარგულების პროექტი საქართველოს მთავრობას;
5. საგრანტო ხელშეკრულება;
6. მიღება-ჩაბარების აქტი.



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.სიღნაღი

14 ნოემბერი 2017 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №80

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ჰექს/ეპერ“-ისა და „მერსი ქორფსი“-საგან გრანტის მიღებაზე თანხმობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5, მე-7 პუნქტებისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 ნოემბრის №05/2744 მომართვის საფუძველზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს „ჰექს/ეპერ“-ისა და „მერსი ქორფსი“-საგან მიიღოს გრანტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით ახალი მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ ფუნქციონირებისათვის.
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა ხელშეკრულების გაფორმება მოახდინოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.
3. განკარგულება გადაეგზავნოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს.
4. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარესათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
5. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი ც. დადიანის ქ.№15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გოჩა ტოკლიკიშვილი



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დ.აღმაშენებლის მ.2

ტელ: 0355-23-21-63

Davit Aghmashenebeli square, Signagi, 4200, Georgia

Tel: 0355-23-21-63

N 05/2744

14/11/2017

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გოჩა ტოკლიკიშვილს

ბატონო გოჩა,

მოგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი ორგანოების გაძლიერებისა და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით 2017 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ერთი მხრივ კახეთის გუბერნიასა და მეორეს მხრივ „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი ქორფს“ შორის. „ჰეკს/ეპერი“ (იხ. დანართი - ინფორმაცია გრანტის გამცემ ორგანიზაციაზე) პროექტის „რეგიონული განვითარება კახეთის რეგიონში - ფაზა - 2“ („მოლი კახეთში“) ფარგლებში იღებს ვალდებულებას გრანტის სახით სიღნაღის მუნიციპალიტეტში დააფინანსოს გამოყოფილი ფართის რემონტი და აღჭურვა, რომლის მოცულობა წინასწარი მონაცემებით შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს (იხ. დანართი - შესაძენი ინვენტარის ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა). აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 2017 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის, გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისა და უკვე შესრულებული სამუშაოს და შესყიდული ინვენტარის სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის ვადა არის 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად გათხოვთ მოგვეთ წინასწარი
თანხმობა გრანტის აღების თაობაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

გიორგი გოგილაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დ.აღმაშენებლის მ.2

ტელ: 0355-23-21-63

Davit Aghmashenebeli square, Signagi, 4200, Georgia

Tel: 0355-23-21-63

N 05/2744

14/11/2017

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გოჩა ტოკლიკიშვილს


ბატონო გოჩა,

მოგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი ორგანოების გაძლიერებისა და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით 2017 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ერთი მხრივ კახეთის გუბერნიასა და მეორეს მხრივ „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი ქორფს“ შორის. „ჰეკს/ეპერი“ (იხ. დანართი - ინფორმაცია გრანტის გამცემ ორგანიზაციაზე) პროექტის „რეგიონული განვითარება კახეთის რეგიონში - ფაზა - 2“ („მოლი კახეთში“) ფარგლებში იღებს ვალდებულებას გრანტის სახით სიღნაღის მუნიციპალიტეტში დააფინანსოს გამოყოფილი ფართის რემონტი და აღჭურვა, რომლის მოცულობა წინსაწარი მონაცემებით შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს (იხ. დანართი - შესაძენი ინვენტარის ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა). აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 2017 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის, გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისა და უკვე შესრულებული სამუშაოს და შესყიდული ინვენტარის სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის ვადა არის 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად გთხოვთ მოგვცეთ წინასწარი თანხმობა გრანტის აღების თაობაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

გიორგი გოგილაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია



სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დ. აღმაშენებლის მ.2

ტელ: 0355-23-21-63

Davit Aghmashenebeli square, Signagi, 4200, Georgia

Tel: 0355-23-21-63

N 05/2758

16/11/2017

საქართველოს მთავრობას

მოგახსენებთ, რომ გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი ორგანოების გაძლიერებისა და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით 2017 წლის 04 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ერთის მხრივ კახეთის გუბერნიასა და მეორეს მხრივ „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი ქორფს“ შორის. „ჰეკს/ეპერი“ (იხ. დანართი - ინფორმაცია გრანტის გამცემ ორგანიზაციაზე) პროექტის „რეგიონული განვითარება კახეთის რეგიონში - ფაზა - 2“ („მოლი კახეთში“) ფარგლებში იღებს ვალდებულებას გრანტის სახით სიღნაღის მუნიციპალიტეტში დააფინანსოს გამოყოფილი ფართის რემონტი და აღჭურვა, რომლის მოცულობა წინსაწარი მონაცემებით შეადგენს სავარაუდოდ 15000 (ტხუთმეტი ათასი) ლარს (იხ. დანართი - შესაძენი ინვენტარის ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა). აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 2017 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის, გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისა და უკვე შესრულებული სამუშაოს და შესყიდული ინვენტარის სიღნაღის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის ვადა არის 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

ზ/აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად 2017 წლის 14 ნოემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ითხოვა წინასწარი თანხმობა გრანტის აღების თაობაზე (დანართი წერილი N05/2744, 14.11.2017წ).

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 14 ნოემბრის N80 განკარგულებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას მისცა თანხმობა „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი ქორფსისგან“ მიიღოს გრანტი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით (დანართი სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 ლის 14 ნოემბრის N80 განკარგულება).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა გრანტის მიღების თაობაზე აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.

გიორგი გოგილაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

ვის: ქ. სიღნაღის გამგეობას

მოგესალმებით,

მოგახსენებთ, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის აღსრულებისა და დამკვიდრების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერების და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების თანასწორი გაძლიერების მიზნით 2017 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი ერთი მხრივ კახეთის გუბერნიას და მეორეს მხრივ „ჰეკს/ ეპერს“-ს და „მერსი ქორფსი“-ს შორის.

„ჰეკს/ ეპერი“ (იხ. დანართი # 1 და 2 - ინფორმაცია გრანტის გამცემ ორგანიზაციაზე), მისი პროექტი რეგიონალური განვითარება კახეთის რეგიონში - ფაზა 2 („მოლი კახეთში“) ფარგლებში იღებს ვალდებულებას გრანტის სახით თქვენს მუნიციპალიტეტში დააფინანსოს გამგეობის მიერ გამოყოფილი ფართის რემონტი და აღჭურვა, რომლის მოცულობა წინასწარი მონაცემებით სავარაუდოდ 15,000 ლარს შეადგენს (იხ. დანართი # 3 - შესაძენი ინვენტარის ჩამონათვალი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა).

ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

პროექტის, გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოს განხორციელებისა და უკვე შესრულებული სამუშაოსა და შესყიდული ინვენტარის თქვენი მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის ვადა 2018 წლის 30 ნოემბრამდე.

გთხოვთ შემდგომ რეაგირებას.

პატივისცემით,

ალექსანდრე ლოლობერიძე

პროექტის მენეჯერი

HEKS/EPER

30 ოქტომბერი, 2017 წ.



კაპიტულაქცი
კახეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შეკრ. № 6399/05
03 11 2017

